პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

17 სექტემბერი

17 შაბათი

1917. ტროცკი განთავისუფლდა „კრესტოვი“-დან 3000 მ. საწინდარის შეტანით

1871. 1 ინტერნაციონალის ლონდონის კონფერენცია

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.— 2ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაბეჭდვა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.

ტელეფონი №

დღიური

— მთავრობა სამაზრო რევკომებისადმი ცირკულიარულ წერილში, კატეგორიულად მოითხოვს ადგილობრივი ხელისუფლების გაჯანსაღებას და ცენტრის პოლიტიკის ხაზის მტკიცედ გატარებას.

— თბილისში, მეხუთე უბანში გაჩნდა დიდი ცეცხლი, რომელმაც უამრავი სიმდიდრე შთანთქა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 163 შაბათი, 17 სექტემბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 17 სექტემბერი. 1921 წ. № 163

ცირკულიარი—წერილი.

ყველა სამაზრო რევკომებს

საქართველოს რევკომს მრავალი საბუთი აქვს იმისა დამამტკიცებელი, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მოღვაწეობა რესპუბლიკის თითქმის მთელს ტერიტორიაზე არ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი და ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ზოგიერთ რევკომში ადგილი აქვს მეტად არასასურველ და რევოლიუციონური წესრიგისათვის მომაკვდინებელ მოვლენებს. საბჭოთა სისტემის ყველა ძირითადი უარყოფა და მავნებელია ის მოღვაწეობა, რომელსაც სწევს ზოგიერთი ადგილობრივი რევკომის ზოგიერთი წევრი; იქაც მაგ. შენიშნულია პირადი მოსაზრებებით და პირადი სიმპატიების პრინციპით ხელმძღვანელობა, ნათესაობა და ახლობელ ნაცნობების მფარველობა, საკუთარი მოსაზრებისა და კეთილდღეობისათვის ზრუნვა, ნაკლები ცოდნა ადგილობრივი პირობებისა და გულგრილი მოპყრობა მცხოვრებთა საჭირბოროტო კითხვებისადმი, მტკიცე ხელისა და საჭირო ინიციატივის უქონლობა, ცენტრის განკარგულებათა დაგვიანებით ასრულება, ან მათი სრულიად უგულებელყოფა და ზოგჯერ საკუთარი პოლიტიკის წარმოება სოციალ ეკონომიურ კითხვების სფეროში, დაბალი ხასიათის კინკლაობა რევკომის წევრთა შორის და უთანხმოება ადგილობრივ მუშათა და პარტიულ ორგანიზაციებთან, მილიციის თვითნებობა, და ბოლოს, ასეთ პირობებში თავისუფალი თარეში ხალხის მტრებისა, და ათასი პროვოკაციისა ყოველგვარი სახისა და ფორმის; აი რას წარმოადგენს დღეს ზოგიერთი ადგილობრივი რევკომი და მისი საქმიანობა.

ასეთი პირობები იწვევს ხალხის უკმაყოფილებას და ბუნებრივად მოჰყავს იგი ჩვენი მტრების ბანაკში; ეს მდგომარეობა ამაოდ აქცევს თავგანწირულ შრომას მუშათა და გლეხთა ძალაუფლების განმტკიცებისათვის საქართველოში.

გიცხადებთ კატეგორიულად, რომ ამ მდგომარეობას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოეღოს, უმკაცრესი ზომები უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი ხელისუფლების გაჯანსაღებისათვის. თვითეული რევკომი უნდა დაემორჩილოს ცენტრს და სასწრაფოდ, სისწორით უნდა ასრულოს ყოველი მისი განკარგულება; საჭიროა მტკიცე ხელი და ინიციატივა ცენტრის დირექტივების ფარგლებში; არც ერთი გაუმართლებელი ნაბიჯი ან რაიმე, რევოლიუციონური ხელისუფლებისათვის საზიანო, მოქმედება არავითარ შემთხვევაში დაუსჯელი არ დარჩეს; უნდა მოისპოს ყველა სენი, რომელსაც დღეს ადგილი აქვს; ადგილობრივმა რევკომებმა ნათლად უნდა შეითვისონ საბჭოთა ხელისუფლების ბუნება და შინაარსი; მათ უნდა შესძლონ მტკიცე კავშირის გაბმა ახალ ხელისუფლებასა და მშრომელ ხალხს შორის და თვით მშრომელი ხალხი უნდა ჩააბან საერთო აღმშენებლობის ფერხულში. ყოველგვარი დაბრკოლება უნდა გადაილახოს და ყველაფერი უნდა შეეწიროს ამ ერთ მიზანს; საბჭოთა ხელისუფლების შინაარსის სწორი გაგება, საკუთარი მოვალეობის შეგნება, ერთგული სამსახური დაკისრებულ საქმისადმი, ენერგიული და ფხიზელი მუშაობა—აი საშუალებანი ამ მიზნის განხორციელებისათვის. ადგილობრივმა რევკომებმა უნდა მოაგვარონ ეს საქმე და თვითეული მათგანი მტკიცედ და თავდადებით უნდა იდგეს მშრომელი ხალხისა და მისი ხელისუფლების სადარაჯოზე.

სრულიად გადაჭრით მოვითხოვთ ამას თქვენგან და ამის შეუსრულებლობა გაკისრებთ თქვენ უმძიმეს პასუხისმგებლობას რევოლიუციონური მთავრობის წინაშე.

მიღება ამა ცირკულიარისა გვაცნობეთ დეპეშით.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
ბ. მდივანი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბ. კვირკველია

ადმინისტრატიული ორგანოების გაჯანსაღება

ჩვენი ადგილობრივი ადმინისტრატიული ორგანოების მუშაობა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. მათი მოვალეობა მეტად რთულია და პასუხსაგები. რთულია, რადგან ამ ორგანოების მოღვაწეობა მიმდინარეობს ცხოვრების თითქმის ყველა დარგის დაშლის პირობებში და საზოგადოდ ისეთ დროს, როდესაც გარდამავალი ხანის სამეურნეო და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისათვის საჭირო მუშაობა სცილდება ძველი სოციალ პოლიტიკური რეჟიმისათვის დამახასიათებელ ტრადიციული შაბლონის ფარგლებს, მოითხოვს ახალ საქმეს და ამ საქმისათვის ახალ მუშაკებს, სხვა გამოცდილებითა და ცოდნით აღჭურვილთ. მდგომარეობაც მათი, ვთქვათ ჩვენ, პასუხსაგებია და ეს, სხვათა შორის და, შეიძლება, განსაკუთრებითაც, იმ აზრით, რომ ჩვენი ხალხი ახალი რეჟიმისაგან ბევრ რამეს მოელოდა და მოელის, ბუნებრივია ამიტომ, რომ ის შეუწყვეტელი ინტერესითა და გაფაციცებით თვალყურს ადევნებს ყოველდღიურ მუშაობას იმ ორგანოებისას, რომლებმაც ადგილობრივ ხორცი უნდა შეასხან ცენტრის დეკრეტებსა და ბრძანებებს. ცხადია მათ ასეთ თუ ისეთ გადაფორხილებას, შეცდომას და ხალხის ინტერესებისათვის სასარგებლო ხაზის გატეხვას აწერენ მთავრობას, აცხადებენ ახალი რეჟიმის თვისებათ, მის ნაკლად. სოფლელი მასსა ადგილობრივი ადმინისტრატორების მოღვაწეობის მიხედვით სჯის ცენტრზე და საერთოდ მთელ საბჭოთა სისტემაზე. „მითხარი ვისთან გაქვს საქმე და გეტყვი ვინა ხარო“, ასეთი თქმულების იერარქიით მიმდინარეობს მისი აზროვნება. უნდა ითქვას კი, რომ ზოგ ადგილას ეს ორგანოები „[illegible]“ და ხშირათ მათი წევრები ვერ ამართლებენ, როგორც ხალხის, ისე მთავრობის თვალში თავის დიდ დანიშნულებასა და არ დგანან ამ დანიშნულების სიმაღლეზე. იქ ადგილი აქვს ან წინასწარ ბოროტგანზრახვით გადადგმულ ნაბიჯებს და აღმაშფოთებელ თვითნებობას, ან თავის მოვალეობისადმი მიუტევებელ გულგრილობას. ხშირია პირადი კინკლაობა და პარტიულ და საბჭოთა ორგანოებ შორის საქმის შემაფერხებელი „გაუგებრობა“. ამას ხედავს ხალხი, ამით სარგებლობენ სოფლის ყურეებში მიმალული და ხშირათ აშკარათ მოქმედი ხალხის მტრები, მტრები საბჭოთა რეჟიმისა. ასეთი მოვლენებით მოხერხებულათ სარგებლობენ ისინი ხალხის ასაღელვებლათ მთავრობის წინააღმდეგ და ჩვენი პარტიის სახელის გასატეხათ. და უნდა ვთქვათ, რომ ბევრგან აღწევენ კიდეც თავის სასარგებლო შედეგს. [illegible] მდგომარეობის [illegible] გამო ეს თუ ის შეცდომა სამსახურის დროს შესაძლებელია და გამოცდილ მუშაკების სიცოტავის გამო სამწუხაროთ აუცილებელიც. მაგრამ ასეთი მოვლენათა კატეგორიას არ შეიძლება მიეწეროს ბოროტ მოქმედება, თვითნებობა და კინკლაობა, რომელთაც ადგილი აქვს როგორც პროვინციაში ისე, თუმცა უფრო ძვირათ, ცენტრშიაც. ამას უნდა მოეღოს ერთხელ და სამუდამოთ ბოლო. უნდა მოხდეს ჩვენი ადგილობრივი ადმინისტრატიული ორგანოების გაჯანსაღება: უვარგისების დაშლა, მავნე ელემენტებით დაავადებულების გადახალისება და ასე მთელი აპარატის გამაგრება, ნორმალური მუშაობისათვის მისი აწყობა. ამ საერთო გაჯანსაღების საქმეში, ისე როგორც ეს არის სხვა დარგებშიც, უმთავრესი როლი უნდა შეასრულოს ისევ და ისევ ჩვენმა ადგილობრივმა პარტორგანიზაციამ. ის უნდა იყოს თვალი და ყური ცენტრის და ამ შემთხვევაში მისი არჩეული, როგორც ზედმიწევნით მცოდნე ადგილობრივი პირობების, პირებისა და ხალხის სულისკვეთების. რაც არ უნდა დაგვიჯდეს და რა ენერგიაც არ უნდა დავხარჯოთ, ჩვენ უნდა გავატაროთ ეს გაჯანსაღება და გავძლიოთ ეს დაბრკოლებაც.

ნაციონალიზმის „პოლიტიკა“

ეროვნული შუღლი, ქიშპობა, უნდობლობა და სიძულვილი ეკონომიური მიზეზების შედეგია. ამ მიზეზების არსებობით, მათი გაძლიერებით დაინტერესებული ეკონომიურათ გაბატონებული ფენები და მემამულეთა კლასი, თავისთ კლასობრივ ინტერესებს ყველაფერს ახვევენ ეროვნულ სამოსელში და ოსტატურათ ხალხის მასსებს აძლევენ საკუთარი ეკონომიური ინტერესების დაცვას. როცა ფეოდალური ქართველი [illegible] და საერთოდ ეკონომიურ [illegible] უკვე გაბატონებულ სომხის ბურჟუაზიის, ყვიროდა მორთ—საქართველო იღუპება, „ეროვნული სული“ განადგურდება, საქართველო ქართველებს უნდა ეკუთვნოდეს. ინტელიგენციის ნაწილმა ამ ხალხის ეკონომიური ინტერესი კეთილშობილურ იდეოლოგიის მანტიაში გახვია ვითომ და სხვათა შორის იმასაც კი მოითხოვდა რომ მანთაშევს და საერთოდ სომხის შეძლებულთ საქართველოში მამულის შეძენა აკრძალული ქონოდათ; სომეხ მანთაშევის [illegible] ქართველ მანთაშევისთვის მოითხოვდნენ.

ამ მთავარი ღერძის გარშემო ტრიალებდა ნაციონალისტური ინტელიგენციის და შემდეგ მენშევიკების ეროვნული პოლიტიკა. რაღა თქმა უნდა, ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო გამუდმებული შუღლი, შფოთი, ომიანობაც კი. ნაციონალიზმის მომწამვლელი შხამი ხალხის მასსებსაც ხვდებოდა, მშრომელი ხალხის ნაწილი კაპიტალიზმის საზარელ ფერხულში ჩათრეული გამოდგა, თავის კლასიურ მტრების ბანაკში ჩატყუებული.

საბჭოთა ხელისუფლება და მშრომელთა ავანგარდის პარტია შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს ყველა მყვლეფელთა წინააღმდეგ, როგორც შინაურ, ისე უცხოელ მანთაშევების ეკონომიურათ და პოლიტიკურათ დამხობას ემსახურება. განა ასეთი სამსახურის, ასეთი ბრძოლის შედეგი არ უნდა იყოს ხალხთა შორის მშვიდობიანობის დამკვიდრება, მშრომელთა ძმობა-სოლიდარობის ზრდა და განმტკიცება?

უსაზღვრო რუსეთის სივრცეზე სად შეხვდებით დღეს, საბჭოთა ძალაუფლების არსებობის დროს, ეროვნულ შუღლ-შფოთს, ეროვნულ იდეოლოგიურ და ფიზიკურ პოგრომებს? ნაციონალისტური ხაზის და საწინააღმდეგოს უკვალოდ აღმოფხვრა შეუძლებელია სამი წლის განმავლობაში, მაგრამ თანამშრომლობა, ერთად ბრძოლა, ურთიერთისადმი დახმარება, შერიგება და ძველი კავშირი მხოლოდ საბჭოთა ძალაუფლების დროს შეიქმნა შესაძლებელი რუსეთის [illegible] ერთა და ტომთა შორის. აზერბეიჯანელი და დაღესტნელი, თათარი და ყირგიზი, მორდოველი და ბაშკირი, უკრაინელი და ბელორუსელი დღეს ერთ ქვაბს ურევს, ერთ ბანაკში არიან ველიკოროსებთან ერთად.

ასეთივე სურათს მოგვცემს ყველა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებიც. კერძოთ საქართველოში დაწყნარებულია ეროვნული შუღლი, ჩაქრობის გზაზეა ის კაპიტალიზმის კოცონი, რომელიც აქ დაანთეს მენშევიკებმა და დანარჩენ ნაციონალისტებმა. გაზ. „ტრიბუნა“—თითქოს გულგახეთქილი იყოს ასეთი ამბავით—გვპასუხობს: „არც ჩვენ უარვყოფთ, რომ დღეს საქართველო მშვიდობიანობით [illegible], მაგრამ რატომ იძახის „კომუნისტი“, რომ ეს „შეიარაღებული მშვიდობიანობაა?“ და შემდეგ: „ან სად ხედავს გაზეთი ეროვნული შუღლის დაწყნარებას და სოლიდარობის, თანამშრომლობის დამყარებას, როდესაც სინამდვილეში სწორედ წინააღმდეგს ვხედავთ? ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ გაიზარდა ეროვნული შუღლი და მტრობა, რასაც ხელს უწყობს არა კომუნისტური, არა პროლეტარული ნაციონალური პოლიტიკა...“

ნაციონალისტ-სოციალისტების სათვალეები ასეთ სურათს იღებენ საქართველოს სინამდვილისას: თუ სომეხი და რუსი საბჭოთა საქართველოში არ იდევნება, თუ დაწესებულებებში მსახურობს „უცხო ტომის“ ხალხი, თუ ზოგი ლტოლვილი ქართველი ინტელიგენტი უადგილოთ დარჩა, თუ არ გრძელდება მაღაზიების „[illegible]“ გაეროვნება და ყველა ამით ქართველი ინტელიგენტი, ქართველი ვაჭარი და ქართველი მემამულე რაკი ძალზე გაწყენებულია და გაღიზიანებული, ეს მაჩვენებელი უნდა იყოს ეროვნული შუღლის გაზრდის ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგო. ამაზე ერთი პასუხი გვაქვს ჩვენ: საბჭოთა საქართველოში ნუ ეძებთ [illegible] უცხო ტომელთა დევნაზე, ქართველ ვაჭრებისათვის პრივილეგიურ, ეროვნულ პრივილეგიებზე, [illegible] ნაციონალიზაციაზე. თუ ასეთი პოლიტიკა კომუნისტურათ და პროლეტარულათ არ მიაჩნიათ ტრიბუნისტებს, დეე ვიყოთ ჩვენ ეროვნული შუღლის გამღვივებლები, ხოლო ისინი კი ჭეშმარიტი კომუნისტები და პროლეტარული ინტერნაციონალისტები.

ტრიბუნისტებს ტვინში გამჯდარი აქვთ ერთი ცნება—ერი, ერი [illegible] პოლიტიკა. სად, როდის, რა პირობებში და როგორ უნდა მოხდეს ამ ცნების რეალიზაცია—ამით არ აინტერესებთ. თუ აფხაზეთის კომუნისტებმა ხალხის ფართო მასსების [illegible] განწყობილება ანგარიშში გაუწიეს, თუ მათ [illegible] მიიღეს აფხაზეთის გლეხობაში შეგროვილი უნდობლობა და სიძულვილიც კი მენშევიკურ საქართველოსადმი და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, და თუ ამ დამოუკიდებლობას მიესალმა საქართველოს რევოლიუციონური მთავრობა, რითაც შესაძლებელი გახდა აფხაზეთის შინაგანი ვითარების გარკვევა და ხალხის მასსების ბუნებრივი, ძალდაუტანებელი გარკვევა მდგომარეობაში—ეს თურმე დიდი შეცდომა ყოფილა.

და როცა აფხაზეთის კომუნისტებმა საქართველოსთან ხელახლა შეერთება გადაწყვიტეს, როცა ხალხში გაიფანტა უნდობლობის ბურუსი—ეს თურმე წინანდელი შეცდომის აღიარება ყოფილა.

რა შინაარსით ავსებენ ნეტავ ტრიბუნისტები ცნება „პოლიტიკას“?

და ბოლოს „ტრიბუნა“ გვეკითხება: იცით თუ არა თქვენ, „რა საშინელი უბედურება დაატყდა თავს ცხინვალის რაიონის ქართველებს ბოლშევიკების გაბატონებამ საქართველოში? იცის თუ არა „კომუნისტმა“ რამდენი ქართული სოფელი გაანადგურეს ოსებმა ამ კუთხეში, რამდენი სახლები და ცოცხალი ადამიანები დაწვეს ცეცხლში?“

ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკების და დანარჩენ ნაციონალისტების მიერ [illegible] სამხრეთ ოსეთში [illegible] სამოქალაქო [illegible] დაანთეს, [illegible] ხმლით და ცეცხლით [illegible] იქ ქართველ [illegible] ტკბილი, მაგრამ იმ [illegible] ცეცხლში, რომელიც [illegible] „ტრიბუნა“ ჩვენ არ [illegible] სადამსჯელო [illegible].

„ტრიბუნამ“ უკეთ გამოიცნობდა საბჭოთა რესპუბლიკის ძალას და სასტიკობას, უკეთ გაიგებდა „სოციალისტ“ სახელწოდებასაც, თუ რომ [illegible] ფეხების შეკრებას [illegible] და არა უკვე თითქმის მიმქრალ ნაციონალისტური კოცონის გაღვივებას ფუთა-გაშლილ თუ ლაგამ აგდებულ [illegible] სახით.

საბჭოთა რუსეთის პრესა

უნგერნის ავანტიურა გათავდა.

ბარონი უნგერნი მეფის ჯარის გვარდიის ოფიცერი იყო. ის ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას თეთრ გვარდიელ გენერლებთან ერთად ჩვენ წინააღმდეგ თავდასხმაში და იმათი დამარცხების შემდეგ სადღაც მიიმალა. შემდეგ ის გახდა იაპონიის კაპიტალის მოსამსახურეთ.

იაპონელი კაპიტალისტები ცდილობენ ჩაიგდონ ხელში აღმოსავლეთ ციმბირი, აგრეთვე იყოლიონ თავის გავლენის ქვეშ ჩინეთი და მონგოლია. მაგრამ ამ საქმეში იაპონელებს ყავთ საშიში კონკურენტი—ამერიკის კაპიტალი. ისიც ფიქრობს წაითბოს ხელი ციმბირში და ჩინეთში. იაპონია ემზადება ამერიკასთან საომრათ. ჯერ-ჯერობით ის ვერ ბედავს წაართვას ნანადირევი ძლიერ ამერიკას. მაგრამ, რომ არ გაუშვან ნანადირევი ხელიდან იაპონელი კაპიტალისტები მოქმედებენ ფრთხილად, მათგან შესყიდულ მეფის გენერლების დახმარებით წითელ ჯარის მიერ განადგურებულ კოლჩაკის, დუტოვის და სხვათა შაიკებისაგან დარჩენილ ძალების საშუალებით.

იაპონიის გეგმა იყო ასეთი: აღმოსავლეთის წყნარი ოკეანის მხრიდან თავდასხმა ციმბირზე და მისი დაპყრობა უნდა მოეხდინა სემიონოვს. მას უნდა მოშველებოდა მონგოლიიდან სხვა შაიკებიც. ისინი უნდა მოსულიყვნენ ჩიტამდის, დაეპყრათ ის, [illegible] შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობა და მოეხდინათ გადატრიალება. წინამძღოლობა ასეთი რაზმებისა ებარა ბარონ უნგერნს. იაპონელთა დახმარებით იმან შეადგინა საგრძნობი რაზმი კარგათ შეიარაღებულ ყაჩაღებისა, შეიცავდა მეგობრობას მონგოლელ თავადებთან, მოატყუა ისინი და დაიჭირა ქალ. ურგა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის საზღვრების მახლობლად. აქ ცდილობდა ის შეექმნა მაგარი პუნქტი ციმბირზე შესატევათ.

ჩინეთის მთავრობა შეებრძოლა უნგერნს, მაგრამ უშედეგოთ. ჩვენი მონგოლებმაც იგემეს უნგერნის სუსხი და ჩამოშორდნენ მას. მონგოლეთში მოხდა გადატრიალება, ეხლა მის სათავეში სახალხო მთავრობა არის, ის გვთხოვს ჩვენ დახმარებას, რომ გაანადგუროს უნგერნის შაიკა. დახმარება უკვე აღმოუჩინეთ. წითელმა ჯარმა სწრაფად უკუ აგდო უნგერნის დაწყებული შეტევა. გაფანტა მისი შაიკა. თვითონ იგი დაჭერილია თავის შტაბით. უნგერნი და მისი შაიკები აღარ არსებობენ. შორეულ ციმბირს მონგოლეთის მხრივ აღარაფერი საფრთხე აღარ მოელის, ეხლა ჩვენ ციმბირის სამხრეთით გვყავს ერთის მაგიერათ მეგობრულათ განწყობილი მეზობლები, რომლებთანაც უკვე დავკავეთ კეთილ-მეზობლური დამოკიდებულება, ეხლა საქმე სემიონოვის მაზრეებზე.

ბრძოლის შედეგი

ამას წინათ ლონდონიდან მიიღეს ცენტრო კავშირში დეპეშა ბაზელის საერთაშორისო კოოპერატიულ კონგრესზე დასმულ საბჭოთა რუსეთის საკითხის გამო მიღებულ გადაწყვეტილების შესახებ. საბჭოთა კოოპერატივების დასაშვებათ, ცენტრო კავშირისადმი უფლების მისანიჭებლად, რომ მათ ჰქონდეს თავის თავზე რუსეთის კოოპერატივების წარმომადგენლობა [illegible] 733 ერთეულმა 474 ის წინააღმდეგ. დეპეშა თავდება სიტყვებით: „[illegible]“.

[illegible] საერთაშორისო კოოპერატივთა [illegible] საბჭოთა კოოპერატივების [illegible] ინგლისის [illegible] ცენტრო კავშირს [illegible] ინგლისის [illegible] საბჭოთა კოოპერატივების [illegible] პოლიტიკის გამო და თხოულობდნენ მათ ცნობას.

ინგლისის კოოპერაციის წარმომადგენლებმა არ გაიტანეს [illegible] სიტყვა და გამოუცხადეს იმედი რუსეთის თეთრ კოოპერატორებს, მოწვეულთ კარგა ხანია რუსეთზე, რომლებიც რუსეთის კოოპერატივთა ყველა სესიებზე და კრებებზე სამ-ჯერ წელიწადში უფლება, ესარგებლათ თავიანთი ძველი მანდატებით. წადილი რუსეთის თეთრ-გვარდიელ ემიგრანტების, რომლებიც ერთად ერთი დამხმარეები არიან [illegible] და კ. მ. პ. გათავდა დამარცხებით. სახელგატეხილი ეპოქა უშედეგოთ დარჩა.

ჩვენთვის ამას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. ჩვენი ტაქტიკა და დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის კოოპერაციისადმი, რომელიც ჯერ კიდევ [illegible]

[illegible] კოოპერაციის [illegible] საერთაშორისო [illegible] იგი პირველ რიგში აყენებს [illegible] კოოპერაციის, როგორც უძლიერეს, იდეურად [illegible] და ყველაზე [illegible] ორგანიზაციას.—

საბჭოთა კოოპერაციამ ბრძოლით გამოგლიჯა თავისი ადგილი უზურპატორებს.

„პრავდა“ მ. კანტორი

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

ამხ. ჩიჩერინის ნოტა პოლონელ რწმუნებულს.

მოსკოვი. 14 სექტ. (რადიო). პოლონელ რწმუნებულს რუსეთში ამხ. ჩიჩერინმა ნოტა გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია, რომ 4 ივლისს რუსეთის მთავრობამ პოლონეთის მთავრობას ფართო სურათი გადაუშალა იმ მომხდარ [illegible] თავდასხმებისა საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებებისა, რომლებსაც აწყობდნენ ვარშავიდან, პოლონელ ხელისუფლების [illegible] დახმარებით. პოლონეთის მთავრობა ამ ფაქტებს უარყოფდა, მაგრამ სინამდვილე თავის თავათ მეტყველობს. ამხ. ჩიჩერინის ნოტაში მოყვანილია მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობას პოლონელ ხელისუფლების ორგანოთა და სავინკოვის და სხვა თეთრგვარდიულ ორგანიზაციათა შორის. საბჭოთა საზღვრებზე გადმოსავალ „სამშობლოს და თავისუფლების დაცვის კავშირი“-ს თეთრგვარდიელი რაზმები და მისი აგენტები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ჩაშალონ სასურსათო კამპანია, რომელიც ტარდება საბჭოთა რესპუბლიკის დასავლეთ გუბერნიებში და რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ყველა საბჭოთა რესპუბლიკისათვის მთელი წლის განმავლობაში. ახორციელებენ რა სავინკოვის „რუსეთის კომიტეტის“ ოფიციალურ დირექტივებს, ისინი იტაცებენ სასურსათო საწყობებს, ანადგურებენ საწყობ პუნქტებს, სპობენ პროდუქტებს, აგიტაციას ეწევიან გლეხების მიერ პურის გადასახადის წინააღმდეგ,—საერთოდ იღებენ ზომებს, რომლებიც ოფიციალურად [illegible] აქვს სავინკოვის „კომიტეტს“ მუშურ-გლეხური ხელისუფლების სიმშილით დასახრჩობად. იმ დროს, როდესაც საზოგადოების ფართო წრეები ყველა ქვეყნებში რუსეთზე სიმშილობით დატყდარ უბედურების გამო დახმარების ხელს უწვდიან,—პოლონეთის მთავრობა ენერგიულ დახმარებას უწევს იმათ-

ეროვნული საკითხი ჩვენში

II

საიდან წარმოიშვა ერი და ეროვნება, ეროვნული მოძრაობა.

ჩემმა „პატარა წერილმა“—„ეროვნული პოლიტიკა თუ კლასობრივი?“ (ს. ჩვ. გაზ. № 155) ჩვენი მემარცხენე ნაციონალისტების ანუ ნაციონალ ფედერალისტების მეტი ყურადღება მიიპყრო. არც საკვირველია: წერილი ეხება ნაციონალურ საკითხს და ეს ხომ ნაციონალ-ფედერალისტებისათვის ყველაფერია.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, ეს „პატარა წერილი“ მათთვის სავსეა „უნდოვარობით“, „წინააღმდეგობით“, „გაუგებრობით“, „სიცრუით“, „საკვირველებით“, „გაუგებრობით“ და „მეტაფიზიკური [illegible]“ (ის. გაზ. „ტრიბუნის“ მეთაური წერილი № 18).

რა გაეწყობა: ვიცით, რომ „კარგ მთქმელს კარგი გამგონეც უნდა“! ისინი იმდენათ „განაწყენებული“ ხალხია, რომ ჩემს უბრალო ახსნა-განმარტებას, კლასობრივ ანალიზს ვერ „შეიმეცნებენ“ და ამას ყველთვის „გაუგებრობათ“ და „უვიცობათ“ [illegible]. ამიტომაც ჩემი სიტყვა და წერილი ყოველთვის მიმართულია და იქნება არა მათდამი, არამედ იმ ქართველ მშრომელთა მასსებისადმი, რომელთაც კარგათ ესმით ქართული სიტყვა და რომლებიც ჩემსავით „ბედით ჩაგრულნი“ არიან.

მაშ ასე: მე მივმართავ ჩემს „უბრალო“ მკითხველებს და ჩემი „პატარა წერილის“ შინაარსს მათ მოვაგონებ.

მე ვწერდი: „ეროვნული საკითხი ჩვენთვის ერთი მთავარი საკითხთაგანია, მაგრამ ის ყოველ შემთხვევაში მხოლოდ საკითხია და არა ერთი მთლიანი პოლიტიკა. ამიტომ ის ჩვენ მიერ განხილულ უნდა იქნას ჩვენი მთლიანი კლასობრივი პოლიტიკის თვალსაზრისით და არა პირიქით, როგორც ეს ჩვენ მემარცხენე ნაციონალისტებს სჯერათ“.

ჩვენი მემარცხენე ნაციონალ-ფედერალისტები ამ სიტყვებში ხედავენ „წინააღმდეგობას“ და „გაუგებრობას“. თანახმა ვარ განვმარტო უფრო დაწვრილებით ის, რომ მოჩვენებითი „წინააღმდეგობაც“ და „გაუგებრობაც“ თავიდან აშორებულ იქნას.

უპირველესად აქვე აღვნიშნავ ყველა ჩვენი მოწინააღმდეგეთა საყურადღებოთ, რომ აქ ნათქვამი და ყველასთვის გასაგებათ არის აღიარებული, რომ „ეროვნული საკითხი ჩვენთვის ერთი მთავარი საკითხთაგანია“. ეს კარგათ უნდა ახსოვდეთ ყოველთვის ჩვენს ნაციონალისტებს, როცა ჩვენ საყვედურით მოგვმართავენ ხოლმე: „ეროვნულ საკითხს განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევთო“. ეს უსაფუძვლო საყვედურია. არც ერთ პარტიულ ლიტერატურაში არაა იმდენი მასალა ამ კითხვის გადასაჭრელათ, როგორც სოციალისტურ-კომუნისტურში საერთოთ და ქართულში კერძოთ.

არც იმ საყვედურს აქვს საფუძველი, თითქო ჩვენ ეროვნული საკითხის გადასაჭრელათ ჩვენი პრინციპების ცხოვრებაში გატარებას არ ვცდილობდეთ, „ეროვნულ თავისუფლებას“ არ ვახორციელებდეთ.

ამ საკითხს ჩვენში დიდი ისტორია აქვს, მით უფრო დიდი ისტორია აქვს მას მთელი კაცობრიობის მასშტაბით.

გავითვალისწინოთ მოკლეთ ეს ისტორია და აღვნიშნოთ მისი განვითარების მთავარი ფაზისები: აქედან დავინახავთ, თუ სად ვართ მისული ჩვენ ამ პროცესში, საიდან მოვედით იქ და საით უნდა წავიდეთ.

ამ საკითხის ისტორია იმავე დროს „ეროვნული მოძრაობის“ ისტორიაა.

ჩვენ ვიცით საკითხები ისტორიულ მსვლელობაში წარმოშობილნი: ქალთა და მონათა, გლეხთა და მუშათა და რელიგიური; ერთი ასეთ საკითხთაგანია ეროვნული საკითხიც.

ყველა ამ საკითხებს ისტორიულათ ერთი ეკონომიური დიდი მიზეზი აქვს, რომელიც ბადებს კაცთა საზოგადოებაში სხვა და სხვა [illegible] მოძრაობას.

სიცოცხლის დაცვის და ცხოვრების გაუმჯობესების პროცესში შემდგარი კაცთა საზოგადოება დიდიდან თავის გაჩენისა ებრძოდა და დღესაც ებრძვის თავის უსაშინელეს, უძლიერეს მტერს. ეს არის გარეშე ბუნება, ბუნების ძალნი. აი ამ საერთო მუდმივ მტრისაგან ადამიანი პირველ ეპოქაში სავსებით იყო დაჩაგრული: ის სრული მონა იყო ბუნების. მაგრამ მონა ადამიანი არ დაიღუპა ამ უსწორო ბრძოლაში. შედეგათ საზოგადოება [illegible] ორგანიზაცია, თუმცა პრიმიტიული; გაჩნდა საზოგადოებრივი, კოლექტიური შრომა, რომელიც ტეხნიკური წარმატების და თვით ამ საზოგადოებრიობის [illegible] მეტათ განვითარდა და ადამიანს შეუძლო ბუნებასთან ბრძოლაში გამარჯვების მოპოვება და ცხოვრების გაუმჯობესება.

სიცოცხლის შენახვის და საერთოთ არსებობისათვის ბრძოლის ერთი მთავარი საშუალებათაგანია გამრავლება, შთამომავლობის დატოვება და ადამიანიც, როგორც სხვა ყველა ცოცხალი არსება, ინსტინქტიურად ამ საშუალებას მიმართავს.

აქედან ადამიანი ქვეყანათ მრავლდებოდა, კაცთა საზოგადოებანი ქვეყნად ეფინებოდა. კაცთა სხვა და სხვა ტომები, მოდგმანი, რასსები გავრცელდნენ დედამიწის ზურგზე და ცალ-ცალკე პატარა-პატარა საზოგადოებებით შემდგარნი განაგრძობდნენ ბუნების წინააღმდეგ ბრძოლას.

მაგრამ ბუნების ძალთა წინააღმდეგ ეს ცალ-ცალკე შებრძოლი პატარ-პატარა საზოგადოებანი, პატარა-პატარა პრიმიტიული ორგანიზაციები კაცთა ტომები და მოდგმანი საარსებო საშუალებათა მოპოვების პროცესში იძულებული იყვნენ ერთიმეორეს სამკვდრო სასიცოცხლოთ შებრძოლებოდნენ. აქედან კაცთა საზოგადოება, ადამიანთა ტომი თავიდანვე აწარმოებდა ორგვარ ბრძოლას: ერთს-ბუნების წინააღმდეგ, ბუნების მიერ დაჩაგვრისაგან თავისათვის გასათავისუფლებლათ ხოლო მეორეს თავისივე მსგავს საზოგადოების, მეტოქე ადამიანთა ტომის დასამორჩილებლათ, დასაღუპავათ ან უკეთეს შემთხვევაში დასაჩაგრავათ, დასამონებლათ.

დღესაც კაცობრიობის უმაღლესათ განვითარებული, კულტურული ნაწილიც ასეთ ორგვარ ბრძოლას აწარმოებს. პირველი [illegible] ბუნების ძალების წინააღმდეგ, მთელი კაცობრიობის ბუნებისაგან დაჩაგვრისაგან სავსებით გასათავისუფლებლათ და ამ გზით მისი სრულიად [illegible]; ხოლო მეორე გვარი ბრძოლა სწარმოებს თვით იმავე კაცობრიობის შემადგენელ ნაწილთა, კაცთა საზოგადოებათა შორის [illegible] მოქიშპეების დასათრგუნავათ და დასაჩაგრავათ.

როგორც ხედავთ პირველი ადამიანს ათავისუფლებს ჩაგვრისაგან და მონობისაგან; ხოლო მეორე კი იმავე ადამიანს აგდებს ჩაგვრისა და მონობის ბორკილებში.

ბუნების ძალთა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ზემოთ ვთქვი, დგებოდა შრომის და ბრძოლის წესებით შეკავშირებული სულ უფრო და უფრო ვრცელი და მრავალრიცხოვანი საზოგადოება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

პირველყოფილ ეპოქაში თუ მარტო ადამიანთა ტომებს და მოდგმებს ვხედავთ, შემდეგში იწყებენ მოქმედებას შეერთებული ტომები სახელმწიფოებათ გადაქცეულნი, შემდეგ ეპოქაში კიდევ ეს შეერთებული ტომები ხდებიან ერები და აარსებენ ეროვნულ სახელმწიფოებს.

აღმოსავლეთის ქვეყნების ძველი ისტორია გვაწვდის, თუ როგორ შეკავშირდნენ იქ მრავალ რიცხოვანი ხალხები უზარმაზარ საზოგადოებებათ ბუნების ძალთა წინაშე: მაგალითათ, ნილოსისა, ტიგრისა და ეფრატის და სხვა მდინარეთა გადიდების, ნაპირებიდან გადასვლის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ასეთმა საერთო ბრძოლამ და საერთო კოლექტიურმა შრომამ შექმნა ძველი აზიის განათლებული ხალხები, როგორც იყვნენ ძველი ასირიელნი, ქალდეველნი, ბაბილონელნი, სპარსელნი, ეგვიპტელნი, ჩინეთელნი, ინდოელნი და სხვები.

ცოტა სხვანაირათ მოხდა ევროპის ხალხთა გაერთიანება და სახელმწიფოებათ გადაქცევა: აქ მეტი ადგილი ჰქონდა ტომთა შორის ბრძოლას და იძულებითი, ძალდატანებითი პროცესით ხალხთა ასიმილიაციას, გაერთიანებას, შედუღებას.

მაგრამ ერი და ეროვნება თანამედროვე მნიშვნელობით ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი. ის შეიქმნა უმთავრესათ არა ბუნების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, არამედ სახელმწიფოთა შორის ბრძოლის პროცესში, ეკონომიური (კაპიტალისტური) განვითარების ნიადაგზე.

სახელმწიფო არის ტერიტორიალური ორგანიზაცია და აი ერთ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხი შეკავშირდა სახელმწიფოებრივ ფარგლებში, რომ ეწარმოებინა ერთი მხრით ბუნების ძალთა წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო მეორე მხრით უცხო სახელმწიფოთა და ხალხთა წინააღმდეგ. მაგრამ სახელმწიფოში შეკავშირებული მცხოვრებნი მანამ ვერ გახდებოდნენ ერთ მთელ განსაზღვრულ ორგანიზმათ, ვიდრე ამის შემოქმედი პირობები არ დადგებოდა. ასეთი პირობების შემოქმედი კი იყო ტეხნიკური ეკონომიური წარმატება—განვითარება.

იქ, სადაც ნადირობის და მეჯოგეობის შემდეგ მიწათ მოქმედებაც განვითარდა, იქ, სადაც ზედმეტი საქონლის წარმოება გაჩნდა და სადაც აქედან წარმოშობილი გარეშე ხალხებთან საქონლის გაცვლა-მოცვლა გაიზარდა, გაძლიერდა, ხალხმა მიიღო ერთი განსაკუთრებული თავისებური სახე და მან ამ სახის, ამ თავისებურების სხვა ხალხების თავისებურებისაგან გარჩევაც ისწავლა. ამნაირად შესდგა ერთგვარი კოლექტიური პიროვნება, რომელმაც თავისი თავი შეიგნო, როგორც განკერძოებული კოლექტიური პიროვნება და მოინდომა ამ თავისებურების და განკერძოების შენარჩუნება, ვინაიდან მას, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციით გამტკიცებულ-გამაგრებულს, ეს გარემოება საშუალებას აძლევდა გამკლავებოდა მეტოქეს, მოწინააღმდეგეს საკონკურენციო ბრძოლაში საქონლის გასაღების ნიადაგზე. ერთი სიტყვით, ერთ სახელმწიფოებრივ ფარგლებში მოქცეული ხალხი ერთ ერათ გადაიქცა ამ მიზეზით და გარეშე ვაჭრობის გავრცელება-განვითარებით. ეს იყო ერთა შექმნის ხანა, როცა ეროვნული ჩაგვრა და ეროვნული მოძრაობა კიდევ არ არსებობდა.

ერი, ეროვნება თანამედროვე მნიშვნელობით, როგორც ისტორიული კატეგორია, წარმოიშვა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის ხანაში. ეს იყო გარდამავალი ხანა, როცა ბურჟუაზიული კლასი ჩნდებოდა და [illegible]. ევროპის ძველმა ისტორიამ იცის ხალხები: გალლები, ჰუნნები, ბასკები, ტევტონები და სხვა და სხვ., მაგრამ არ იცის ერები: ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, იტალიელები, რუსები და სხვა და სხვა. ყველა ეს ერები წარმოიშვნენ სხვა და სხვა მოდგმათა შეერთება-შედუღებით, ასიმილიაციის პროცესში, არაა ქვეყანად ერი, რომელიც ერთნაირი შემადგენლობის იყოს რასსიულად. ყველა ერში ნახავთ შავ-ხუჭუჭ თმიან, შავ-თვალებიან ტიპს, სამხრეთის მცხოვრები რასის წარმომადგენელს და ნახავთ აგრეთვე ქერათმიანს და ლურჯ თვალებიანს, რომელიც ჩრდილოეთში მცხოვრებ ხალხს წარმოადგენს.

ამნაირად ყოველი ერი სხვა და სხვა მოდგმათა და რასათა შედუღებაა, სხვა, განსაკუთრებულ სახით გადაქცეული. და როცა მემარცხენე ნაციონალ ფედერალისტები ამბობენ, „ერების მთავარი—ფედერაციაო“, ჩვენ მათ ვუპასუხებთ: იყო დრო, როცა ის ერები იმ სახით არ იყვნენ, რომლებსაც ჩვენ დღეს ვხედავთ და დადგება ისეთი დრო, როცა დღევანდელი ერები სხვა სახეებათ გადაიქცევიან და დღევანდელ სახეს შეიცვლიან. ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნება ეს სახეები, რამდენათ განვითარებული და რა სახით, მაგრამ ის კი დანამდვილებით გვწამს, რომ ისინი დღევანდელ ერთა ურთიერთ [illegible] პროცესით ახალ სახეებათ გადაიქცევიან.

ასეთია ძირითადი კოსმიური [illegible] კანონი და ამ კანონს ექვემდებარება ერიც. ნაციონალ-ფედერალისტებს კი ჰგონიათ, რომ თუ რომელიმე ხალხი ერთხელ ერათ [illegible], ეროვნული სახე მიიღო, ეს სახე სამუდამოთ უცვლელათ დარჩება. ეს არის მათი „მეტაფიზიკური ფორმა“, ეს არის მათი [illegible] მეტაფიზიკური ცნება აზროვნებისა, რასაც ისინი [illegible] და ის კი არ გაუგიათ, რომ ქვეყანაში უცვლელი არაფერი არ რჩება. ჯერ კიდევ ბრძენი ჰერაკლიტე ამბობდა: „ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლებაო“. არ შეიცვლება მხოლოდ ნაციონალ-ფედერალისტების აზრი და რწმენა ეროვნულ საკითხზე! ისინი „ცნობის ფურცელში“ ისე მსჯელობდნენ ერთ დროს, როგორც დღეს გაზეთ „ტრიბუნაში“ მსჯელობენ.

მაგრამ დავტოვოთ „ფედერები“. „მკვდრები მკვდრებმა დაასაფლავოთ“ და მივუბრუნდეთ ისევ ჩვენს საგანს.

ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის ხანაში სახელმწიფოთა შორის ბრძოლამ გამოწვეულ ეროვნული ბრძოლის ხასიათი მიიღო და ამას მოჰყვა ერთი სახელმწიფოს მიერ ძალით მეორის დაპყრობა-დამორჩილება, აქედან ერთი „მპყრობელი ერის“ მიერ მეორე ერის დამონება, ძალით ერთ სახელმწიფოში შემოერთება ანუ დაჩაგვრა.

ამნაირათ ეკონომიურმა წარმატებამ, გარეშე და შინაური ვაჭრობის განვითარებამ სახელმწიფოთა [illegible] ქვეშ შექმნა ერები და ეროვნებები, ხოლო სახელმწიფოთა შორის ბრძოლამ დაბადა ეროვნული დამონავება, ეროვნული პოლიტიკა, ეროვნული ჩაგვრა, აქედან ეროვნული მოძრაობა. სახელმწიფო შეიქმნა მფარველი და [illegible] ერის და იმავე დროს იარაღი და საშუალება ერის ჩაგვრისაც.

მაგრამ აქ უნდა გავარჩიოთ ორი სხვა და სხვა ერი ერთიმეორისაგან: „მპყრობელი“ და დაპყრობილი, [illegible] ბატონ-პატრონი და იმავე სახელმწიფოს მიერ დაქვემდებარებული, დამორჩილებული. პირველ მდგომარეობაში მყოფი ერი, ცხადია არ განიცდის ჩაგვრას და აქედან მისი ეროვნული მოძრაობაც მხოლოდ სხვის დაჩაგვრას და დამონებას ემსახურება. მხოლოდ დაჩაგრულ ერთა მოძრაობა ემსახურება თავისუფლების საქმეს, მხოლოდ დაჩაგრული ერები იბრძვიან თავიანთ დამჩაგვრელ ერების წინააღმდეგ, რომელთაც სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ერთა ჩაგვრის იარაღათ გადააქციეს; და რადგან ეს სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ამ დაჩაგრულ ერებისთვისაც ბრძოლის საუკეთესო საშუალება და იარაღია, ამიტომ ისინიც ამ ორგანიზაციის შექმნას ცდილობენ, სახელმწიფოებრივ თავისუფლებას ესწრაფვიან. დაპყრობილებიც და დამპყრობლებიც [illegible] იარაღით გამოიყენონ და ეს შესაძლებელია, ვიდრე ერიცა და სახელმწიფოც მათ ხელში ბატონ-პატრონობს.

რ. ქ.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიზაციებს და ბანდებს, რომელნიც ცდილობენ საბჭოთა რესპუბლიკის საწინააღმდეგო კამპანიის ჩატარებას და ამით მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ბრძოლის საშუალებათა მოსპობას. პოლონეთის მთავრობა ცდილობს დაამციროს ყველა ამ ფაქტების ნამდვილი მნიშვნელობა, აყენებს რა საპასუხო ბრალდებებს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. რუსეთის მთავრობის სახელით ამხ. ჩიჩერინი აცხადებს, რომ საბჭოთა რუსეთი სავსებით ასრულებს რიგის ხელშეკრულებას და ყოველ წუთს მზადაა მისი დამარღვეველი ფაქტების აცილებისათვის. ნამდვილი მეგობრობის დამყარება პოლონეთთან, ესაა საბჭოთა მთავრობის გულითადი სურვილი. ამისათვის იგი მზადაა ყველაფერზე, ხელშეკრულობის ვალდებულებათა ფარგლებში. სანამ პოლონეთის მთავრობა საფინანსო ხელით აწარმოებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მტრულ მოქმედებას, ფუჭი იქნება იმის მოლოდინი, რომ რუსეთის მთავრობა გადასცემს რუსულ ოქროს პოლონეთის მთავრობისათვის საფინანსო მოსამზადებლად. პოლონეთის მთავრობა ნუ ფიქრობს, რომ რუსეთის დამტყდარი უბედურება შეასუსტებს საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგობის გაწევის ძალას. რუსეთის მთავრობა მოელის, რომ პოლონეთის მთავრობა შეუდგება ხელშეკრულობის ლოიალურ ასრულებას. შერეული კომისიის შექმნის გეგმა წამოყენებული რუსეთის მთავრობის მიერ 4 ივლისის ნოტაში, არის ერთი ტექნიკური შესაძლებლობათაგანი მშვიდობიანი მუშაობის ხელშემწყობ გარემოებათა დაცულობისა. რუსეთის მთავრობა მზადაა მიიღოს რანაირიც იქნება გეგმა, რომელიც ამ მიზანს ისახავს, მხოლოდ ეს მიზანი მიღწეული იქნეს, სხვა უკეთესი არაფერი სურს მას, რომ პოლონეთთან მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვროს.

რუსეთის ფართე მშრომელ მასსებს სურთ მშვიდობიანობა ყველა მეზობლებთან. დღეს, პოლონეთის მთავრობამ, ბოლოს ასრულოს სამშვიდობო ხელშეკრულების მე 5 მუხლი და პოლონეთსა და რუსეთს შორის დამყარდება დაურღვეველი მეგობრული ურთიერთობა. რუსეთის მთავრობა მტკიცედაა დაიმედებული, რომ პოლონეთის მთავრობა არ მოისურვებს შემდგომი პოლემიკით და ფორმალური დავით ურთიერთობის გამწვავებას და დათანხმდება განხილულ იქნას ზომები იმ მიზეზების ნამდვილი აცილებისა, რომლებიც ხელს უშლიან ორივე მთავრობისათვის სასურველ მეგობრულ ურთიერთობის დამყარებას და სამშვიდობო ხელშეკრულობის ცხოვრებაში გატარებას.

ც. ა. კ.-ის მე-4 სესია

მოსკოვი, 16 სექტ. (რადიო) სესია გაიხსნება 3 ოქტომბერს. დღის წესრიგი: მოხსენება სასურსათო გადასახადის გატარების შედეგებზე; დამშეულ გუბერნიებისათვის დახმარებაზე; შიმშილობასთან დაკავშირებით მიღებული ღონისძიებანი; შრომის კომისარიატის მოხსენება; ნიჟეგოროდის გუბკომის მოხსენება; საგარეო ვაჭრობის კომისარიატის გამომკვლევ კომისიის მოხსენება; ქალაქის და სოფლის საბჭოების რწმუნებულობის ვადის გადასინჯვა; სახალხო კომისარიატების მიერ საბიუჯეტო ხარჯთ აღრიცხვის წარმოდგენის ვადაზე.

კაპიტალიზმის სამეფოებში

საბერძნეთ-ოსმალეთის ფრონტზე.

ხარუჯამში, 10 სექტემ. (დეპეშა). ოფიციალური ცნობა: მარჯვენა ფრონტის რაიონში, მოწინააღმდეგის მიერ დაწყებული შეტევა დიდი დანაკლისით უკუგდებულ იქნა. ოსმალთა ნაწილები სდევნიან მოწინააღმდეგეს; ცენტრის რაიონში ჩვენი ჯარების შეტევა სწარმოებს. მოწინააღმდეგის პოზიციების საუკეთესო ნაწილები დაპყრობილია ჩვენი ჯარების მიერ და ხელთ ვიგდეთ ტყვეები.

გუშინდელმა და დღევანდელმა ჩვენმა შეტევამ დიდი ზიანი მიაყენა მოწინააღმდეგეს.

ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: ჩვენი ჯარები განაგრძობენ გაცხოველებულ შეტევას ცენტრალური რაიონის [illegible] მოწინააღმდეგის [illegible] ნაწილები, ამასთან ხელთ ვიგდეთ თოფები, სამხედრო მასალა და ტყვეები. [illegible] ბოლი და ქონი.

ცენტრალური ფრონტის არმიის შტაბის ოპერატიული განყოფილება იუწყება: 10 სექტემბრიდან ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ფრონტის [illegible] და სხვა რაიონებში, მოწინააღმდეგე ნაღდად დიდი დანაკლისით უკუგდებულ იქმნა. ზოგიერთ პუნქტებში ხელთ ვიგდეთ: ზარბაზნები, ტყვიის-მფრქვევლები, თოფები და სხვა და სხვა სამხედრო მასალა, ტყვე აფიცრები და ჯარის კაცები.

ჩვენი ნაწილების მიერ შეტევა წარმატებით გრძელდება.

მდგომარეობა ფრონტებზე.

ანგორა, 10 სექტ. (რადიო) ოსმალთა ნაწილების შეტევამ ბეილიკ კეპრიკეის მიმართულებით, დაგვაკავებინა მნიშვნელოვანი პოზიციები მოწინააღმდეგისა. ხელთ ვიგდეთ დიდძალი იარაღი, სამხედრო მასალა და დიდი რიცხვი ჯარისკაცების.

ანგორა, 11 სექტ. (რადიო). მოწინააღმდეგე გარბის და სტოვებს თითქმის ყველა თავის პოზიციებს, განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგზე. 11 სექტემბერს მოწინააღმდეგემ, უკან დახევის დასაფარავად შეუტია ცენტრში, მაგრამ უკუგდებულ იქნა.

ანგორა, 12 სექტ. (რადიო). ჩვენ მიერ დევნილ ბერძენთა ჯარმა უკან დახევის დასაფარავად შეუტია ბეილიკ კეპრიკეის რაიონში, მაგრამ უკუგდებულ იქნა დიდი დანაკარგით მათ მხრიდან.

სახელმწიფო დაწესებულებების გაწმენდა და შტატების შემცირება

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის გამოცხადების პირველ ხანებშივე ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულებებში მოხვდნენ ერთობ ბევრი მოსამსახურეები და ისიც არა სასურველი ელემენტებისაგან შემდგარი. ასეთ მოსამსახურეებში ბევრი არ ვარგა, ბევრს არ სურს პატიოსნად იმუშაოს, სიმრავლეა გამო ისინი ხელს უშლიან ერთმანეთს, გაკეთების ნაცვლად აფუჭებენ, აბრკოლებენ საქმეებს. ჯამაგირიც დიდი ძალა ამ უსარგებლოდ, ბევრ შემთხვევაში, [illegible] ხარჯზე. მთავარი კი ის არის იმის მაგალითი, რომ სწორედ ამ მოსამსახურეთა არაკვალიფიციურობას, მათ დაუდევრობას, საქმისადმი უპასუხისმგებლო [illegible] თავეობით გაუჭირდება სახელმწიფო ქონებები; ხშირად ასეთ ატმოსფერაში ზოგიერთი კანცელარიული ვალაკიტის სრული [illegible] გაუქმდება საქმეები. დაწესებულებებში ასეთი მდგომარეობის მოსპობის საკითხი დიდი ხანია იდგა, მაგრამ იგი კონკრეტულად არავის არ დაუყენებია. ამის წინად მას ყურადღება მიაქცია ფინანსთა კომისარიატმა; კომისრის მოადგილემ, ამხ. გ. ბიბინეიშვილმა, ამ საკითხს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ცალკე წერილებიც უძღვნა, სადაც იგი სხვა ანომალიურ მდგომარეობის დახასიათებასთან ერთად აღნიშნავდა სახელმწიფოს ისედაც გამწვავებულ ფინანსიურ მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას, რომელსაც იწვევს ეს საჭიროებაზე მეტი სახელმწიფო მოსამსახურეები. აი, ამ კონკრეტულად დაყენებული კითხვის გადაწყვეტა თავს იდვა ჯერჯერობით განათლების სახალხო კომისარიატმა თავის დაწესებულებებში.

საბჭოთა მთავრობის ეს აპარატი, სახელმწიფოს ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია. ამან უნდა აღზარდოს და მოგვცეს ის ყველაზე ძვირფასი ახალი თაობა, რომელიც უნდა დაეპატრონოს ჩვენს მიერ განახლებულ ქვეყანას, რომელმაც უნდა დაასრულოს ჩვენ მიერ დაწყებული საქმეები.

ხსენებული კომისარიატს იმის გარდა რომ მას ხელმძღვანელობს ერთი ცენტრალური კოლეგია კომისრის თავმჯდომარეობით, იქ არსებობს კიდევ მაზე დამოკიდებული აპარატი, მთავარი პოლიტიკური განათლების სამმართველო შემდგარი 5 კოლეგიის წევრთაგან, რომლებიც ხელმძღვანელობენ შემდეგ განყოფილებებს: 1) საგიტაციო-სათეატრო, 2) საპროპაგანდო, 3) საგამომცემლო და საინფორმაციო—გრუსტა (საქართველოს საბჭოთა სატელეგრაფო აგენტური). აი ამ დაწესებულებებში ერთობ ბევრმა ვნების მომტანმა ელემენტებმა მოიყარა თავი. უსარგებლო ხარჯების შესამცირებლად, მუშაობის გასანაყოფიერებლად საჭირო იყო შტატის შეკვეცა, მოსამსახურეების შერჩევა. ამ საქმეს შეუდგენ უკვე და სწარმოებს აგერ 5—6 დღეა. ჯერჯერობით ჩამოშორებული იქნა სამსახურს, როგორც ზედმეტი ბარგი, 60 პირი; გაწმენდა-შემცირება ჯერ არ არის დამთავრებული, და როგორც ჰგონიათ ხელმძღვანელ ამხანაგებს, ამდენი რიცხვი იქნება კიდევ თავიდან მოსაცილებელი. პირველ ხანებში ამ შემცირება-გაწმენდამ შეიძლება გაართულოს საქმე, მაგრამ ეს არ არის მდგომარეობა მალე გამოკეთდება,—გაეცნობიან სამსახურის ახალ პირობებს, ერთმანეთს გაუმჯობესდება საქმიანობა.

ასეთი გაწმენდა შემცირება მოსამსახურეთა შტატისა, სახელმწიფო დაწესებულებებში, სასურველი არის სხვაგანაც მოხდეს. სხვებმაც დაიწყოს იგი, დაიწყოს რაც შეიძლება მალე.

ხევსური.

ქრონიკა

◆ **ანგორის მისია.** ანგორის მისიაში 15 სექტემბერს შედგა ბანკეტი, ქემალ ფაშის ჯარების მიერ ფრონტზე მთელ რიგ გამარჯვებათა აღსანიშნავად. ბანკეტზე წარმოთქმულ იქნა სიტყვები ამ გამარჯვების მნიშვნელობაზე ოსმალეთისათვის. ბანკეტს დაესწრნენ უმაღლესი წარმომადგენლნი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა, სარდლობის წარმომადგენლნი, ამხ. ლეგრანი და აგრეთვე აზერბაიჯანის და სომხეთის მისიები.

◆ **მილიციის რევიზია.** რესპუბლიკის მილიციის მთავარ სამმართველომ დაათავა პირველი მორიგი რევიზია მილიციის ყველა სამმართველოებისა, როგორც ქალაქებში, ისე რაიონებში. რევიზიამ აღმოაჩინა დეფექტები, რაც აიხსნება საქმის სიახლით და მილიციის ბევრ წევრთა განუვითარებლობით, განსაკუთრებით საქმის-წარმოების მხრივ. რევიზიის გამკეთებელი ადმინისტრაციის ინსპექტორები იქვე ადგილობრივად ასწორებდნენ დეფექტებს და მილიციის მსახურთ აძლევდნენ დარიგებებს. ახლა დაიწყო განმეორებითი რევიზია.

◆ **დიდი ცეცხლი** 13 სექტემბერს დილის 4 საათზე მე 5 კომისარიატის უბანში, ლენინის და იერუსალიმის ქუჩის კუთხეში, ალბათ დაუდევრობის გამო ცეცხლი გაუჩნდა ძველი ბაზრის და მატყლის საწყობს. ძველი შენობათა ერთად შეჯგუფების და ქუჩების სივიწროვის გამო ცეცხლი მოედო მთელ უბანს. ცეცხლი მოედო აგრეთვე გორელაშვილის ქარვასლას. ყველა ცეცხლის მქრობელთა რაზმის ენერგიული მუშაობით დილის 10—11 საათზე შეჩერებული იყო ცეცხლის სხვა შენობებზე გადასვლა და დილის 4 საათზე კი სულ ჩაქრობილ იქნა. ცეცხლის დროს მილიციის მოსამსახურეთა საშუალებით მათი უფროსის ი. ჩხეიძის მეთაურობით და საქართ. კომ. პარტ. განსაკუთრებული მინდობილობის რაზმის მიერ შემორტყმული იყო ცეცხლი მოდებული უბანი და არ იქნა დაშვებული ძარცვა. ზარალი ჯერ არ არის გამორკვეული მაგრამ დიდი უნდა იყოს, რადგანაც დაიწვა ბევრი ფართლეული, ბამბა და მატყლი. იქვეით დაპატიმრებულია რამოდენიმე პირი, რომელნიც უნდა იყვნენ დანაშავენი ცეცხლის უცაბედათ გაჩენაში.

სოციალური უზრუნველყოფა.

◆ **პროვინციის განყოფილებათა რევიზია.** კომისიამ რომლის შემადგენლობაში შედიოდენ სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარი ამხ. თოდრია და საქმეების გამგე ამხ. [illegible]ძე, მოახდინეს რევიზია სოციალური უზრუნველყოფის პროვინციალურ განყოფილებისა სიღნაღის და თელავის მაზრებში. როგორც განყოფილებები, აგრეთვე ყველა პუნქტები ნახეს კარგად მოწყობილი, მუშაობა მიმდინარეობს სრული წესრიგით. თუმცა ზოგიერთ განყოფილებებში ნორმალურად ვერ მიმდინარეობდა მუშაობა, მაგრამ ეს აიხსნება პროვინციაში შექმნილ პირობებით; მიუხედავად ამისა, მუშაობა ამ განყოფილებაში სარევიზიო კომისიამ მიიღო შეწყობილათ, რომელიც შეესაბამება ცენტრის დანიშნულებას და მიზნებს.

◆ **შრომის ახალშენი** ბოლნისის მონასტერში აქამდის არ დაუწყია მუშაობა, შრომის ახალშენს, საჭირო საგნების უქონლობის გამო.

◆ **დასახიჩრებულთა სანიმუშო სახლი.** პირველი დასახიჩრებულთა სახლი გადაწყვეტილია გადააკეთონ სანიმუშოთ.

◆ **დასახიჩრებულთა მეორე სახლი.** მე-2 დასახიჩრებულთა სახლი საგუბერნიო ციხის შენობაში უკვე მოწყობილია და იქ გადაიყვანეს დასახიჩრებულნი.

◆ **მომავალი განზრახვებს სფეროში.** მუშავდება პროექტი გადასახადის შემოღებისა სანახაობაზე და გასართობებზე გადასახადი იქნება გადადებული სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულების სასარგებლოთ.

◆ **სასადილოები აღარ მოქმედებენ.** სოციალურ უზრუნველყოფის ყველა სასადილოები აღარ მოქმედებენ, სურსათ სანოვაგის უქონლობის გამო.

◆ **მოხუცებულების სიმრავლე.** სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებებში მოხუცებულების რიცხვი ძლიერ დიდია.

პარტიული ცხოვრება

საქ. კომპარტიის გურიის ორგანიზაციის პირველი ლეგალური კონფერენცია*)

კონფერენციის მეორე დღე

16 ივლისს, სხდომა გაიხსნა.

პრეზიდიუმი ადგენს დღის წესრიგს და ოქმებს, რომლებსაც კრება ცოტაოდენი შესწორებით ამტკიცებს.

დღის წესრიგი: 1. მოხსენება მომენტზე, 2. მოხსენება გურიის კომიტეტის, 3. მოხსენება კონფერენციის [illegible] შესახებ 4. მოხსენება სამაზრო რევკომის, 5. მოხსენება პროფკავშირზე და გამომცემლობაზე, 6. მოხსენება სასურსათო კომიტეტის, 7. მოხსენება ადგილობრივ [illegible], 8. ორგანიზაციული საკითხი, 9. პარტიის და რევკომის შორის დამოკიდებულება, 10. კომიტეტის არჩევა და 11. სარევიზიო კომისიის არჩევა.

1. მიმდინარე მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. თედორე კ[illegible]ძე. ამხანაგებო! კითხვა მომენტის შესახებ ფრიად რთულია, ამიტომ მე შევეცდები თქვენ წინაშე გამოვარკვიო მისი უმთავრესი ხაზები. რას წარმოადგენს დღევანდელი მომენტი— ოქტომბრის რევოლუციამდე ჩვენ და ესერ მენშევიკებს შორის დიდი ბრძოლა იყო გაჩაღებული იმის შესახებ, თუ რამდენათ მომწიფებული იყო პირობები სოციალისტურ გადატრიალებისათვის. კომუნისტურმა პარტიამ ეს საკითხი დღის წესრიგში დასვა და გადაწყვიტა ბრძოლა გამოუცხადოს ბურჟუაზიულ წყობილებას და იმპერიალისტურ ომს, რომელმაც გაანადგურა სისხლით და ოფლით მუშათა კლასის მიერ დაგროვილი სიმდიდრე.

ამ ომმა გაამწვავა ეკონომიური მდგომარეობა და დააჩქარა სოციალისტური რევოლუცია.

ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო ის რევოლუცია, რომელიც მოხდა რუსეთში ოქტომბერში.

ამ საბედისწერო მომენტში რუსეთის საერთოდ პროლეტარიატმა გამოიჩინა ნამდვილი გმირობა, რკინის დისციპლინა. კომუნისტურმა პარტიამ შესძლო ოქტომბერში აფრიალებული დროშა მაღლა დაეჭირა, მან შესძლო გამარჯვებული გამოსულიყო იმ საშინელ ქაოსიდან, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში სისხლის ღვარს აყენებდა რუსეთის ტერიტორიაზე. გამარჯვება და თანდათან გააძლიერა თავის რიგები. მან შექმნა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი, რომელშიაც თავი იყარეს წითელი ქვეყნის კომუნისტური პროლეტარიატის წარმომადგენლებმა.

ირგვლივ შემოტეული კონტრ რევოლუციის, დამარცხების შემდეგ რუსეთის პროლეტარიატმა ხელი მიჰყო მშვიდობიან შემოქმედებითი მუშაობას; კომპარტიამ გააძლიერა და დაიწყო იდეური მუშაობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, ვინაიდგან რუსეთის რევოლუციის გამარჯვება დამოკიდებული მსოფლიო პროლეტარიატის გამარჯვებაზე. მსოფლიო რევოლუციის დაგვიანება იწვევს რუსეთის რევოლუციის კრიზისს.

ამ კრიზისს, რუსეთის პროლეტარიატი საშინელ პირობებში განმარტოებული ებრძვის და თანდათან ამაგრებს თავის ძალა უფლებას საბჭოთა ნიადაგზე, თანდათან ფართოვდება საზღვარი წითელ ლაშქრის წინამძღოლობის და შინაურ ძალთა განწყობილება საკმაოთ პირობებს იძლევა გამარჯვებისთვის.

კაპიტალისტური მეურნეობა დანგრეული და დაშლილი იმპერიალისტური ომის გავლენით, დღეს შეუძლებელია, რომ ბურჟუაზიამ შესძლოს აღდგენა ძველი ეკონომიკის, ძველი პირობებისა. ის უძლურია მოაწესრიგოს ეკონომიური ცხოვრება ძველ ნიადაგზე. აქედან ცხადია, რომ ძველი ეკონომიური ურთიერთობას, ბოლო უნდა მოეღოს. ევროპა ამერიკაში დღეს სავსებით მომწიფებულია ობიექტიური პირობები სოციალისტური რევოლუციისთვის, სუბიექტიურათ სულიერი განწყობილებაც ამას ხელს უწყობს. დაწყებულია მოძრაობა და თანდათან თავს იყრიან ყველა ქვეყნის პროლეტარიები მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის გარშემო. ამ რიგად საერთაშორისო მასშტაბით სოციალისტური რევოლუციისთვის ობიექტიური პირობები უკვე მზადაა. მესამე ინტერნაციონალის პირველ დაარსებისთანავე უნდა მომხდარიყო უკანასკნელი და გადამწყვეტი შეტაკება კლასთა შორის ამ დიდი მომენტის მნიშვნელობა და ჩვენი როლი ამ დროს თავიდანვე შეგნებული გვქონდა. ჩვენ ვიცით ჩვენი მოვალეობა სოციალისტური რევოლუციის წინაშე. საქართველოში მოხდა გადატრიალება. ძალა უფლება ხელში კომუნისტურმა პარტიამ ჩაიგდო.

მენშევიკებმა სამი წლის განმავლობაში ხალხში საკმაოთ აღზარდა ნაციონალური ეგოიზმი და შექმნა მტრული განწყობილება ამიერ კავკასიის რესპუბლიკების შორის, ამ რიგათ ჩვენში გაიღვიძა ნაციონალიზმი, რომელიც მტერია კომუნისტური მოძრაობისა. ჩვენ გვაქვს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ არ გვსურს ისეთი დამოუკიდებლობა, რომელიც იქნება მიზეზი მოძმე ერთა შორის სისხლის ღვრისა და ომიანობისა. ჩვენ ძირიანათ უნდა აღმოვფხვრათ ისეთი ტრადიციული ზედნადებები, რომელიც ხელს უშლიან სოციალისტური რევოლუციის საქმეს.

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყანა წვრილი მეურნეობის ქვეყანაა, ჩამორჩენილი ეკონომიკით, ამ გარემოებას პარტია უწევს ანგარიშს და ეს არის მიზეზი იმისა, რომ დღეს, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშია წმინდა კომუნიზმის დამყარება შეუძლებელია.

წარმოებას სახელმწიფო უწევს კონტროლს, ყოველი ძალა, რომელიც ხელს უშლის წარმოების განვითარებას, გაცვლა-გამოცვლის ნიადაგზე კოოპერატივების საშუალებით ქალაქისა და სოფლებს შორის, მტერია ჩვენი მიზნებისა. ამიტომ ჩვენ ვსდევნით სპეკულიაციას და ხელს უწყობთ კოოპერატიულ წარმოებას. ასეთი ეკონომიური პოლიტიკით, ამ ნიადაგზე ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას, ამასთან ჩვენს წინაშე სდგას ერთი სერიოზული საკითხი ის, რომ ჩვენს პარტიაში თავი მოიყარა არასაიმედო ელემენტებმაც. ჩვენი ვალია ყოველი ზომა მივიღოთ, რათა პარტია გაიწმინდოს. უკეთესია ვიყოთ მცირე რიცხოვანი მაგრამ ორგანიზაციულად გაკაჟებული, ერთსულოვანი ღრმა რევოლუციური რწმენით. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას; გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს. (ძლიერი ტაში).

მოხსენების გათავებისას იყო მრავალი შეკითხვა, რომელსაც მომხსენებელმა გასცა შესაფერი პასუხი.

რეზოლუცია:

მოისმინა რა მოხსენება მომენტზე, კონფერენცია ადგენს შემდეგს:

1. ოქტომბრის დიდი რევოლუციის კურსი გამოდგა სავსებით სწორი, ვინაიდან მსოფლიო რევოლუცია სწარმოებს და იგი დღითიდღე იმარჯვებს; 2. საბჭოთა რუსეთის ძლევამოსილი ბრძოლა მთელი ქვეყნის იმპერიალისტებთან დამთავრდა სოციალისტური რუსეთის ბრწყინვალე გამარჯვებით; 3. წითელი, ანუ სამოქალაქო ომის ფრონტი, შეიცვალა შემოქმედებითი აღმშენებლობითი ფრონტით ეკონომიურ სფეროში; 4 სამხედრო კომუნიზმი შეიცვალა „სახელმწიფო კაპიტალიზმით"; 5 მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ფრონტი ხასიათდება მთელი ჩვენი ძალების გამოყენებით, ეკონომიური ღონიერებისა და აყვავებისათვის; რისთვისაც საჭირო და აუცილებელია წვრილ წარმოების წარმომადგენლებთან: გლეხობასთან და ქალაქის მასსებთან საჭირო კავშირის დაჭერა და გარეშე, განვითარებულ კაპიტალიზმის გამოცდილებით და ძალებით სარგებლობა; 6. საჭიროა და აუცილებელი ამიერ კავკასიის რესპუბლიკების შეკავშირება; პოლიტიკურ ხაზზე საჭიროა ამ ქვეყნებში შენარჩუნებულ მუსავატისტურ დაშნაკურ [illegible] სისხლის ღვრის შედეგი, დღეს ამ რესპუბლიკებში ფეხმოკიდებული ნაციონალიზმი დამარცხებული იყოს; 7. საჭიროა და აუცილებელი ეკონომიური კავშირის დამყარება ამავე რესპუბლიკების შორის ეკონომიურ საფუძველზე; 8. აუცილებლად საჭიროა ამ ქვეყნის [illegible] სპეკულიაციასთან, რომლისთვისაც თუ ადგილობრივი ძალებით ბრძოლა საკმარისი არ არის, უნდა მივმართოთ ცენტრს, რათა იქიდან მივიღოთ სახელმწიფო დირექტივები და საშუალებები; 9. ვინაიდან რევოლუციისა და აღმშენებლობითი შემოქმედებითი მუშაობის უმთავრესი ძალისა და ხელმძღვანელებს საქართველოში შეადგენს კომუნისტური პარტია, საჭიროა გავაჯანსაღოთ და გავწმინდოთ ჩვენი პარტიული რიგები, მეშჩანურ ბიუროკრატიულ, კარიერისტულ და სხვა უცხო ელემენტებისაგან, გავამტკიცოთ და გავაძლიეროთ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები და ისეთი მუშაობა დავაყენოთ შესაფერ სიმაღლეზე, ამასთან აუცილებელია ყველა აქ გამომუშავებულ და მიღებულ ზომების დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარება პარტიის ხელმძღვანელობის და კონტროლის ქვეშ.

II. გურიის კომიტეტის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ვარდენ კალანდაძე და გრიგოლ მგალობლიშვილი, რომლებიც აცნობენ კონფერენციას თუ რა გააკეთა კომიტეტმა. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა ასეთი რეზოლუცია: გურიის ორგანიზაციის კომპარტიის პირველმა ლეგალურმა კონფერენციამ, მოისმინა რა მოხსენება გურიის კომიტეტისა პარტიული მუშაობის შესახებ დღიდან გადატრიალებისა, და იღებს რა მხედველობაში ყველა იმ დაბრკოლებებს, რომლებიც წინ ეღობებოდა ამ მუშაობას, გამოსთქვამს იმ აზრს, რომ მიუხედავად დაბრკოლებებისა შესაძლებელი იყო გაკეთებულიყო მეტი, მაგრამ მიზეზი იყო არა პარტიული ძალების სისუსტე, არამედ სიმრავლე ყველა კომიტეტისა და კონფერენცია ადგენს არჩეულ იქნას ახალი კომიტეტი, რომელიც შექმნის ორგანიზაციაში რკინის დისციპლინას და ამუშავებს ყველა პარტიულ ძალებს.

III. საქართველოს მდენთა თათბირის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხანაგი ვარდენ კალანდაძე, რომელიც აცნობს კონფერენციას, თუ რა გააკეთა თათბირმა. მოხსენება კრებამ მოისმინა და გადავიდა მორიგ კითხვაზე.

IV. სამაზრო რევკომიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. [illegible] დოლიძე. ამხანაგი აცნობს კონფერენციას სამაზრო რევკომის ყოველივე უფრო მნიშვნელოვან ნაბიჯებს. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

მოისმინა რა მოხსენება სამაზრო რევკომის თავმჯდომარის კონფერენცია ადგენს შემდეგს: ვღებულობთ რა მხედველობაში, რომ სამაზრო რევკომს უხდება მუშაობა ფრიად ძნელ პირობებში, როგორც ეკონომიურად ისე პოლიტიკურად, და, რომ ჩვენი პარტია ღარიბია სახელმწიფო ხელმძღვანელობაში დახელოვნებულ მუშაკებით, მიუხედავად ყველა ის ნაკლი, რომელიც სჩანს სამაზრო რევკომის მოხსენებიდან მიგვაჩნია უმნიშვნელოთ და მოხსენება დამაკმაყოფილებლად, მომავალში კი იმედს გამოსთქვამთ, რომ ყოველგვარი დეფექტები იქნება გამოსწორებული.

V. პროფკავშირებზე და გამომცემლობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ნოე ქურიძე. ამხანაგი აცნობს კრებას პროფკავშირების კონფერენციის მუშაობას, რომელიც მოხდა თბილისში. მოხსენებელი მოკლეთ და შინაარსიანათ უმარტავს კონფერენციას, თუ რა დიდ როლს თამაშობენ პროფესიონალური კავშირები დღევანდელ მომენტში. ამ ტომ ამხ. ქურიძე მოუწოდებს კონფერენციას პროფკავშირს მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება.

მოხსენების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლუცია:

მოისმინა რა მოხსენება პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლის პირველ კონფერენციაზე და სცნობს რა ფრიად საჭიროთ კავშირების რაც შეიძლება მალე მოწყობას წარმოებითი პრინციპების მიხედვით კონფერენცია პარტიული ორგანიზაციის უახლოეს მორიგ საქმედ გურიაში ცხადებს ამ სფეროში შესაფერ ორგანოთა შექმნას, აქტიურ ჩარევას და დახმარებას, ხოლო საერთოთ პროფესიონალურ კავშირთა მოძრაობა-შემოქმედებისადმი დიდი ყურადღების მოპყრობას და იდეურ ხელმძღვანელობის გაწევას.

გამომცემლობის შესახებ კონფერენცია ერთხმათ ადგენს: უნდა მოეწყოს გურიის პარტკომის უშუალო ხელმძღვანელობით პარტიული ხასიათის ლიტერატურული გამომცემლობა. ამ საქმის მოგვარება დაჩქარებით ევალება ახლად არჩეულ კომიტეტს.

ღამის 12 საათზე ინტერნაციონალის ჰიმნით სხდომა დაიხურა.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „კომუნისტი" № 162.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

ტყიბულის მაღაროებში

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ეკონომიურ განყოფილების ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ სამთო მუშათა თავმჯდომარე. ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილების გამგე, ქვანახშირის ინსპექტორი, სათბობი მასალის განყოფილების გამგე, მოისმინეს სამთო განყოფილების მოხსენება ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში საქმის მდგომარეობის შესახებ. განყოფილებამ აღნიშნა მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებიც აბრკოლებენ მუშაობას ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში. სხდომა უწევს რა ანგარიშს მაღაროების განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, როგორც საქართველოს ერთად ერთ მადნეულ სათბობის წყაროს, საჭიროდ სცნობს დაუყონებლივ გატარდეს შემდეგი საორგანიზაციო ეკონომიურ ზომები:

1) ითვლებოდეს სამთო განყოფილება ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის წინაშე ერთად ერთ პასუხისმგებელად მასდამი დაქვემდებარებულ და უფლებასილ ორგანოდ საერთოდ საქართველოს სამთო მრეწველობის, და კერძოდ ტყიბულის და გელათის მაღაროების წარმოების და მართვა გამგეობის საქმეში. სამთო განყოფილების ნება დაურთველად არ შეიძლება მოხდეს რაიმე გადაკეთება მაღაროების მომარაგების შესახებ. 2) ორგანიზაციულად სამმართველო ჩაითვალოს ტყიბულის მაღაროების ერთად ერთ პატრონად, რომელიც დაემორჩილება მხოლოდ ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებას, და არ დაუშვან არავის მხრით მათ საქმეში ჩარევა, განსაკუთრებით ადგილობრივ ორგანოებისა, რომელთაც საბოლოოდ უნდა ჩამოერთვათ ყოველივე ცდა უფლებათა დამცირებისა და ამასთან დაკავშირებულ მაღაროების ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის დანაწილება. ცნობილ იქნას საჭიროდ ერთ პიროვნების მართველობის დამყარება. მმართველს, რომელიც ინიშნება სამთო განყოფილების მიერ ს. პ. კ. ს. შეთანხმებით, ემორჩილება მხოლოდ სამთო განყოფილებას და მაღაროების ადგილობრივ მმართველობაში სარგებლობს ავტონომიური უფლებებით.

3) ფინანსიური მომარაგება მაღაროებისა უნდა ჩაითვალოს უსაჭიროეს საგნად, რისთვისაც გარდა ადგილობრივი მომარაგებისა ფულის ნიშნებით მაღაროების საჭიროებისათვის უნდა იქნეს გადადებული განსაკუთრებული ჯამი საგანგებო ხარჯებისთვის. ამას გარდა უნდა მიეცეს ვალი, დანიშნულ დროს, რომელიც დაადგინა ეკონომიურმა თათბირმა, სამთო განყოფილების მუშებს.

4) ვინაიდან ყოველივე დაწესებულება საჭიროებს თავისი დროებითი და ძირითადი კაპიტალის ნაწილის დაბრუნებას, მაღაროების სახელმწიფო ფულით მომარაგება უნდა დაახლოვებით შეუთანხმდეს ღირებულების რაოდენობას, რომელსაც იძლევა იგი განსაკუთრებული ზედმეტი ღირებულობის გამოკლებით საერთო სახელმწიფო სალაროში. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს არ ძალუძს, სრულიად უზრუნველყოს მაღაროები, მაშინ უნდა მიეცეს უფლება მაღაროებს თავისი ნაწარმოების რეალიზაციისა. ამისათვის თათბირმა იცნო საჭიროთ ხელუხლებლად დასტოვოს ყველ შემთხვევისთვის 25 პროც. მაღაროების ნაწარმოებისა, რომელიც თუმცა შეიძლება იქნეს გაშვებული სახელმწიფო ფასებზე, მაგრამ შეთანხმებით ფასებში, რომელსაც დანიშნავს უმაღლესი სახალხო მეურნეობის საბჭო და დაამტკიცებს ეკონომიური თათბირი. სამთო განყოფილებას უფლება ეძლევა ამ ნახშირის ფონდის რეალიზაციისა საზღვარ-გარეთულ ბაზარზე საგარეო ვაჭრობის კომისარიატის საშუალებით.

5) ტექნიკური, და ასაშენებელი მასალით მომარაგება მაღაროებისა ჩაითვალოს დამკვრელად და ეცნობოს ყველა მომარაგებითი ორგანოებს აწარმოონ ხოლო რიგ გარეშე მაღაროების მომარაგება. თუ განსაზღვრულ ვადისთვის მოხდა იგი [illegible], მაშინ, ყოველივე წვრილმან საჭიროების დასაკმაყოფილებლად, სამთო განყოფილებას აქვს უფლება შეიძინოს საჭირო მასალა საბაზრო ფასებში, ყიდოს ასეთი იმ ნაღდი ფულით, რომელიც მიცემული აქვთ სპეციალურად დასამზადებელ მასალებისათვის.

6) მოიხსნას ტყიბულის მაღაროებიდან მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოველი წინასწარი კონტროლი და დაწესდეს შემდგომი კონტროლი. სახელმწიფო ბანკში გაეხსნას მიმდინარე ანგარიში ტყიბულის მაღაროების მმართველობას და სამთო განყოფილებას ხელუხლებელ ფულის ნიშნებით, რომელიც რეგულიარულათ ივსება ფულის ანგარიშების შემოსვლის მიხედვით მუშათა და გლეხთა ინსპექციაში ან მის ადგილობრივ ორგანოში.

7) სურსათით მომარაგება უნდა იქნეს დაყენებული განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში. სახალხო სასურსათო კომისარიატმა შეუჩერებლივ უნდა აგზავნოს სურსათი მაღაროებისათვის სამთო განყოფილების და მაღაროს მართველობის საშუალებით და არავითარ შემთხვევაში სხვა რომელიმე ორგანოს საშუალებით. შეიქმნას მაღაროებისთვის ხელუხლებელი თვიური სურსათის ფონდი. იმ შემთხვევისათვის, თუ სახალხო სასურსათო კომისარიატმა ვერ გასცა დროზე მუშების მომარაგებაზე, ან დაგვიანებით მოახდინა [illegible], სამთო განყოფილებას და მაღაროების უფლება ეძლევა შეიძინონ პური ბაზარზე და იგი რიგ გარეშე გადაგზავნონ თავისუფალ ფასებში. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მომარაგების განყოფილებას ევალება გაატაროს კოლეგიაში, რომელიც არსებობს სახალხო სასურსათო კომისარიატთან ტყიბულის და გელათის მაღაროების მუშებისათვის მომარაგება, გაძლიერებული ულუფით, როგორც სამთო მაღაროების მუშების.

8) მიეცეს პროფესიონალურ საბჭოს და სამთამადნო მუშების კავშირს სამთო განყოფილებასა და ტყიბულის მაღაროების მართველობასთან ერთად შეიმუშაონ სისტემა მუშა მოსამსახურეების ნატურალურ-პრემიალურ დაჯილდოების შესახებ და რაც შეიძლება მალე გაატარონ ის ცხოვრებაში.

შეშის დამზადების მოწესრიგება.

უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პრეზიდიუმმა 10 სექტემბრის სხდომაზე ამხ. [illegible] თავმჯდომარეობით და მიქაძის მდივნობით დაადგინა: შეშის დამზადების კონცენტრაციისათვის ერთი ორგანოს ხელში და რომ აცილებულ იქნას სპეკულიაცია, რომელიც გამომდინარეობს კომისარიატის და დაწესებულებების მიერ საკუთარი შეკვეთისაგან, უნდა იქნეს მიღებული შემდეგი დებულება: 1) ტყის კომიტეტი ამზადებს ყველა სახალხო კომისარიატებისათვის შეშას იმ ცნობების წარმოდგენის თანახმად, რომელიც იქნება მოთხოვნილი სათბობი მასალის განყოფილებიდან და მომარაგების საქმეში.

2. ცალკე ორგანიზაციებს ნება აქვთ დაამზადონ სათბობი მასალა თუ ტყის კომიტეტებმა უარი უთხრეს მომარაგებაზე.

3. ხელშეკრულების პირობები სხვა და სხვა ორგანიზაციებისა უნდა დაამტკიცოს ს. ს. უ. ს. მ.

4. ყველა ორგანიზაციები, რომლებიც დაუკავშირდებიან შეშის და ტყის მასალის ტყის კომიტეტებიდან, მოვალე არიან გადაიხადონ სახელმწიფო და სახალხო ბანკში ტყის კომიტეტის მიმდინარე ანგარიშზე შესაფერი ჯამი თავის კრედიტებიდან.

—

აგურის ქარხნების ნაციონალიზაცია.

ს. ს. უ. ს. ს. პრეზიდიუმმა 10 ენკენისთვის კრებაზე ამხ. [illegible] თავმჯდომარეობით და ამხ. [illegible] მდივნობით დაადგინა:

გამოცხადდეს ნაციონალიზაციად აგურის ქარხნების, აღმაშენებელი კომისიის და სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი სიის მიხედვით (ზოგიერთ გამონაკლისით): ტერტერიანისა, მარ[illegible]ფიროსოვისა, ელჩიევისა, ბეჟანოვისა, სურენიანცისა, გუ[illegible]ნოვი 1 ს, გუ[illegible]ნოვი 2 ს, საგინთელაშვილისა, გაიდაროვისა, მაშადი მუსტაფა [illegible]ოღლისა, ავანოვის, სოლომ[illegible]ცისა, ევროპელთა საზოგადოების და ფაიახისი.

პროვინციაში

ჯუმათის თემი
(გურია).

ჯუმათის აბრეშუმის სეზონი დასრულდა 20 ამ აგვისტოს. სეზონმა კარგად ჩაიარა, არც ერთ ბოროტმოქმედებას ადგილი არ ჰქონია. გამართა წარმოდგენა, რომლის შემოსავალი [illegible] სასარგებლოდ უდრის 190,000 მანეთს.

„ზოგი ქარი მარგებელიაო", ნათქვამია და წლევანდელმა გვალვამ ერთი დიდი სარგებელი მოუტანა ხალხს ჯუმათის თემში დაქცეულია გზებით, სადაც ადგილობრივი რევკომის მეთაურობით მთელი თემის ცხოვრებლები გაფურჩ[illegible] წლევანდელისა, გზების სამუშაოთ არიან გამოსული. მუშავდება გზები: ლანჩხუთ ოზურგეთის მიმართულებით; ოზურგეთ ლანჩხუთის მონასტრის მიმართულებით; ჩოჩხათ-მამათის და ფოთის [illegible]. ხრეშის დღეს გარდა ყოველდღიური ამ ორ სამ დღეში მოსრულდება. შემდეგ შეუდგებიან ხრეშის დაყრას. იმედია—მცხოვრებლები დაწყებულ საქმეს ხელს არ შეუშვებენ და ამ ფრიად სასარგებლო მუშაობას სასურველად დაამთავრებენ. ჯუმათის თემში მდ. სუფსაზე ხიდის გაკეთება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომლის შესახებაც სამაზრო რევკომის მიერ საკითხი აღძრულია.

თემში დიდი სიმშვიდეა,—ხალხი კმაყოფილია ადგილობრივ რევკომით. ქურდ ბაცაცები თავს ცუდად გრძნობენ, რადგანაც იოტის ოდენა ქურდობის ჩადენისათვის მათ მოელის სასტიკი სასჯელი. მცირე შენიშვნისათვისაც გზის გაკეთებაა მისჯილი. რამოდენიმეს კიდევაც მოახდევინეს ასეთი სასჯელი.

სანიტარული გადასახადის აღება მოსრულდა დაუბრკოლებლივ.

დიდი გვალვის შემდეგ ჩვენ ნათესს 24 ამა აგვისტოს წვიმა მოევლინა და შეიძლება ამის წყალობით ჩვენი თემი დამშევას აცილდეს.

ჭალარა.

—

მუხრანის რაიონი
(დუშეთის მაზრა).

რაც თვეა, რაც არსებობს საბჭოთა რესპუბლიკა და ამ დროს განმავლობაში მუხრანის რაიონში არაფერი არ გაკეთებულა. თებერვლის და მარტის თვეებში ეტყობოდა რაიონს სიცოცხლე. ეს იყო მაშინ, როდესაც რუსეთის წითელი არმიელები იყვნენ აქ. იმართებოდა ხშირად მიტინგები, მიტინგ-კონცერტები და სხვა. მაგრამ, მათი წასვლის შემდეგ მუხრანში და მის რაიონში იშვიათად იმართება კრებები. მხოლოდ სუსტ გამონაკლისს შეადგენს მუხრანის სახალხო თეატრის დარბაზში დადგმული რამოდენიმე პიესა და მოწყობილი მიტინგი. მაგრამ სხვა და სხვა ხელისშემშლელ პირების მეოხებით აღარც აქ კეთდება რამე ამ მხრივ.

სოფ. მუხრანი დუშეთის მაზრაში ყველაზე დიდია და ამასთანავე მდიდარი ღვინით, ხილით. მხოლოდ პური კი წელს ცოტა ხარობს, სიმინდი კი ძალიან კარგი, თვით მუხრანში მცხოვრებთა რიცხვი [illegible] უდრის. არიან ქართველები, [illegible]ბი, რუსები, გერმანელები, აისორები, თათრები, ურიები. არის საჭირო პარტიული, პოლიტიკური მუშაობა და სწორედ აქ სუსტობს ის ძალიან. ზოგიერთ სოფლებში არსებობს კომიჩეიკები მხოლოდ სახელით. საჭიროა სამაზრო კომიტეტმა მიაქციოს ამას მუხრანის რაიკომის ყურადღება. მუხრანში ორასამდე [illegible] საბჭოთა მოსამსახურენი, არ აწყობენ კრებებს.

ალექსანდრეშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 81.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა.

1. კავკასიის ცალკე არმიის დაარსების წლის თავის შესრულების გამო დღესასწაულის მოსაწყობად დაარსდეს ცენტრალური კომისია ამხ. ორახელაშვილის თავმჯდომარეობით და შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლების შემადგენლობით: საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტებისა, საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტისა, ცალკე კავკასიის არმიის პოლიტიკური სამმართველოსი, საქართველოს წითელ არმიის პოლიტიკური სამმართველოსი, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. პოლიტიკური განათლების მთავარ სამმართველოსი.

2. საბჭოთა ყველა დაწესებულებათ წინადადება ეძლევათ კომისიის ყოველი განკარგულება ამ დღესასწაულის შესახებ შესრულონ საომარი ბრძანების წესით.

3. კომისიის ყოველი განკარგულება, მანდატი და მიმართვა, რომელიც შეეხება დღესასწაულის მოწყობის ტექნიკურ მხარეს, გამოიცემა ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის ამხ. ორახელაშვილისა და პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს თავმჯდომარის ამხ. ხაჭაპურიძის ხელის მოწერით.

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. ქავთარაძე.

რევოლუციონური კომიტ. მდივანი ალ. ხალარაძე.

1921 წ. სექტ. 14

თბილისი—სასახლე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1 ლ რაიონის ბიურო—[illegible]შვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.

— მე 2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.

— მე 3-ე რაიონის ბიურო—[illegible]. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52

— მე 5-ე რაიონის ბიურო—[illegible].

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღება მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

სხვა და სხვა

— **თელავის სამაზრო რევკომის** განათლების განყოფილება ამით აცხადებს, რომ მაზრის დაწყებითი და უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებისათვის საჭიროა არიან მასწავლებლები 1921—22 სასწავლო წლისათვის.

მოკლე curriculum vite და თხოვნები მიიღება თელავის სამაზრო რევკომის განათლების განყოფილების სახელზე.

— **ქალაქ თბილისის ხელოსან. შინა მრეწველებს.** ქ. თბილისის ყველა დარგის ხელოსან შინა-მრეწველთა კოოპერატიულ საორგანიზაციო კომიტეტი მოგიწოდებთ თქვენ გამოცხადდეთ საერთო კრებაზე, რომელიც დანიშნულია 18 სექტემბერს, დილის 10 საათისათვის, პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტზე, ყოფ. ხელოსანთა კლუბის შენობაში.

დღიური წესრიგი: 1. მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტისა; 2. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შემუშავებული და მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდების განხილვა; 3. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევანი; 4. მიმდინარე საქმეები.

ყველა ხელოსან. შინა-მრეწველთა დასწრება სავალდებულოა.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ფიცხელაური.